საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიური როჭო

კავკასიური როჭო

კავკასიური როჭო (Lyrurus mlokosiewiczi), ფრინველი როჭოსებრთა ოჯახისა. გავრცელებულია კავკასიონის მთავარ ქედსა და მცირე კავკასიონის ალპურ ველებზე ზ. დ. 1500–3000 მ-მდე. ზამთარში ტყეს აფარებს თავს. მამალი კ. რ. შავია, კიდურა საჭის ბუმბული ქვემოთ აქვს მოხრილი. დედალი ჭრელია. ბუდეს მიწაზე იკეთებს. დებს 2–10 კვერცხს. იკვებება თესლით, კენკრით, ხილით, ნორჩი ყლორტებითა და ფოთლებით, ჭიებით, ლოკოკინებით. კ. რ. ჩვენი ფაუნის გამორჩეული წარმომადგენელია. შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში". მალიმიტირებელი ფაქტორია მისი ადგილსამყოფელის შემცირება, გადაძოვა და ბრაკონიერობა.

მ. სახოკია